



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1-73

20 10 2023 წ.

ქ. გორი

„სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ქართული კულტურის კვლევების კაბინეტის და გორისა და ატენის ეპარქიის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2023 წლის 15 მაისის N1-33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი და მე-9 პუნქტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (19.10.2023. N1406512) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ქართული კულტურის კვლევების კაბინეტის და გორისა და ატენის ეპარქიის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2023 წლის 15 მაისის N1-33 ბრძანების დანართში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების:

ა) დანართის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კონფერენციებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებს და დოქტორანტებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლებს, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი“;

ბ) დანართის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გორის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 28 ნოემბერს ჩატარდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის კონფერენცია“;

გ) დანართის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. წინამდებარე დებულების მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2023 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე conference@gu.edu.ge უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) სამეცნიერო ნაშრომი“;

დ) დანართის მე-9 პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გიორგი სოსიაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;

ი) ალექსანდრე მღებრიშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი“;

ე) დანართის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) გიორგი სოსიაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი“.

2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორის მ/შ



ალექსანდრე მღებრიშვილი